დემოკრატიის
კვლევის
ინსტიტუტი
(DRI)



ანტიგენდერული რიტორიკა და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული დეზინფორმაციული კამპანია საქართველოში

2023

ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიფემინისტური ფოკუსი“ ფარგლებში.

პროექტის მხარდამჭერია ორგანიზაცია „ქალთა ფონდი საქართველოში“. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა იქნეს აღქმული დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

სარჩევი

ტერმინთა განმარტებები: 2

შესავალი 3

მეთოდოლოგიური ჩარჩო 4

1. ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია 6

1.1 პრემიერის ჰომოფობიური რიტორიკა, კონსერვატიულ პოლიტიკურ სამოქმედო კონფერენციაზე 9

1.2 „თბილისი პრაიდის“ კვირეული – ულტრამემარჯვენე ჯგუფების ჰომოფობიური რიტორიკის სამიზნე 10

1.3 სექსისტური და ჰომოფობიური კამპანია ლაზარე გრიგორიადისის წინააღმდეგ 11

2. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული გზავნილები 13

3. ულტრამემარჯვენე ჯგუფების საპროტესტო აქციების ანოტაცია 14

ძირითადი მიგნებები 16

რეკომენდაციები 16

ტერმინთა განმარტებები:[1]

ულტრამემარჯვენე იდეოლოგია - ქოლგა ტერმინი, იდეოლოგიათა ერთობლიობა, რომელიც ქმედით ინსტრუმენტად იყენებს რასიზმს, ქსენოფობიას, მიზოგინიას, ანტისემიტიზმსა და ჰომოფობიას.

ულტრამემარჯვენე აქტორები - ჯგუფები, რომლებიც საზოგადოებაში აღვივებენ ანტილიბერალურ, ანტიგენდერულ, მკვეთრად ჰომოფობიურ, ქსენოფობიურ და ნაციონალისტურ განწყობებს. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, გამოირჩევიან სიძულვილის ენის ტირაჟირებითა და ძალადობრივი პრაქტიკით.

ანტიგენდერული მოძრაობა საქართველოში - მოძრაობა, რომელიც ერთდროულად ხასიათდება ანტიფემინისტური, ჰომოფობიური და ტრანსფობიური შინაარსით; ეწინააღმდეგება რეპროდუქციულ თავისუფლებას და ცენზურას უწესებს გენდერის სწავლების პროგრამებს. მისი მიზანია უკან გამოიხმოს სექსუალურ თავისუფლებასა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული მთავარი სამართლებრივი და საკანონმდებლო მიღწევები და კანონები გენდერული დისკრიმინაციისა თუ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ. საქართველოში ანტიგენდერული მოძრაობის ძირითადი აქტორები არიან ულტრამემარჯვენე, ძალადობრივი ჯგუფები: „ქართული მისია“, „ქართული იდეა“, „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“, „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“, „ერი, რაობა, იმედი“. აღნიშნული აქტორები ხასიათდებიან პრორუსული განწყობებით და მათი რიტორიკა, ფაქტობრივად, რუსეთში მიმდინარე ანტიგენდერული სახელმწიფო პოლიტიკის გამოძახილს წარმოადგენს.

ანტიფემინისტური განწყობები - იმ აქტივობებისა და განწყობების ერთობლიობა, რომელიც მიზანმიმართულად ახდენს ქალთა მოძრაობების დისკრედიტაციას და მიმართულია ფემინისტური ხედვებისა და ღირებულებების წინააღმდეგ.

[1] ტერმინთა მოცემული განმარტებები არ ატარებს უნივერსალურ ხასიათს და შემუშავებულია კონკრეტულად წინამდებარე მონიტორინგის მიზნებისთვის.

შესავალი

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ემიჯნება დოკუმენტში ციტირებულ სექსისტურ და ჰომოფობიურ განცხადებებს. თუმცა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მათ უცვლელად გთავაზობთ.

საქართველოში ანტიგენდერული მოძრაობის გაძლიერება, რომლის მთავარი აქტორები ულტრამემარჯვენე, ძალადობრივი ჯგუფები არიან, მკვეთრად თვალშისაცემი ტენდენციაა. მიზოგინიური, სექსისტური, ანტიფემინისტური და ჰომოფობიური გზავნილების გასავრცელებლად ეს ჯგუფები აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს და ონლაინ პლატფორმებს. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 2019 წლიდან აკვირდება ამ ჯგუფებისა და მათი ლიდერების სამოქმედო დღის წესრიგსა და რიტორიკას სოციალურ ქსელებში, ონლაინ მედიასა და სხვა საინფორმაციო პლატფორმებზე.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფების გააქტიურებასთან ერთად, იზრდება გენდერული და ლგბტქ+ იდენტობის საკითხებით საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირების მცდელობები. საზოგადოებრივ დისკუსიებში ნათლად იკვეთება ჰომოფობიური და ტრანსფობიური[2] რიტორიკა, რომელიც მნიშვნელოვან (გეო)პოლიტიკურ გამოწვევადაც იქცა ქვეყნისთვის. დეზინფორმაციული მედიაკამპანიები, ისეთ მგრძნობიარე საკითხებზე ფოკუსირებით, როგორებიცაა გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია, ხელს უწყობს საზოგადოების პოლარიზებას და დაბრკოლებას ქმნის ქვეყნის დასავლური ინტეგრაციის გზაზე.

ულტრამემარჯვენე ჯგუფები მხარდამჭერთა მობილიზებას ცდილობენ ისეთი საკითხების გარშემო, როგორებიცაა: იდენტობა, სექსუალური და რეპროდუქციული განათლება, რელიგიური სენტიმენტები და ოჯახის ინსტიტუტი. ქალთა წინააღმდეგ მიმართული მათი აგრესიული პოლიტიკა კი ერთგვარ იდეოლოგიურ მატრიცას წარმოადგენს, რომელიც ქალებს უზღუდავს აბორტის უფლებას, ახალისებს მათი ჩაგვრის პრაქტიკებს და მხარს უჭერს ოჯახსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მასკულინურ იერარქიას. გარდა ამისა, ულტრამემარჯვენე ჯგუფები ფემინისტებს ქალების პრობლემებთან მიმართებით მთავარ პასუხისმგებელ აქტორებად წარმოაჩენენ. შესაბამისად, ფემინიზმის დისკრედიტაცია ამ ჯგუფებისთვის დომინანტურ პოლიტიკურ ნარატივად იქცა.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერულ რიტორიკას, რომელიც მნიშვნელოვნად ეფუძნება ჰომოფობიურ განწყობებს, მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების“ მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ერთგვარი ხილვადობა და ლეგიტიმურობა შესძინა. საანგარიშო პერიოდში გამოაშკარავდა ხელისუფლებისა და ულტრამემარჯვენე ძალების იდენტური ჰომოფობიური გზავნილები და ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული, ორმხრივად ლოიალური პოლიტიკა. საგულისხმოა, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფები „ქართულ ოცნებასთან“ სრულ უნისონში ეწევიან ჰომოფობიის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციას, რომელიც ერწყმის ანტიდასავლურ განწყობებს და ყალბ ეროვნულ-რელიგიურ სენტიმენტებს.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ჰომოფობიური, მიზოგინიური და სიძულვილის ენის შემცველი გზავნილების იდენტიფიცირებისა და ანალიზის მიზნით, წინამდებარე ანგარიშში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა 2023 წლის აპრილი-აგვისტოს ჩათვლით განხორციელებული მონიტორინგის შედეგები შეაჯამა. საანგარიშო პერიოდში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა სოციალურ ქსელებში და ონლაინ მედიაში ანტიგენდერული/ანტიფემინისტური შინაარსის 210 შემთხვევა გააანალიზეს.

[2] ტრანსფობია - ფსიქოლოგიური და სოციალური ცრურწმენა და დისკრიმინაცია ტრანს ადამიანების მიმართ

სოციალური ქსელების და ონლაინ მედიის მონიტორინგის შედეგად, ულტრამემარჯვენე ჯგუფ-ებისა და მათი ლიდერების ანტიგენდერულ დისკურსში ჰომოფობიური რიტორიკა სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა:

1. **ჰომოფობიური რიტორიკა „თბილისი პრაიდის“ კვირეულთან დაკავშირებით** - ულტრამე-მარჯვენე ჯგუფების ჰომოფობიური ნარატივები 17 მაისის მოახლოების პარალელურად გააქტიურდა და აგრესიამ თავის კულმინაციას მიაღწია 8 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ მიერ დაანონსებული ფესტივალის ჩაშლით. მკვეთრად შესამჩნევი გახდა ფსევდოეროვნული გაწყობებით მხარდამჭერთა გრძნობებზე აპელირება და ჰომოფობიის პოლიტიკურ ჭრილში ინსტრუმენტალიზაცია.
2. **პრემიერ-მინისტრის ჰომოფობიური რიტორიკა კონსერვატიულ პოლიტიკურ სამოქმედო პლატფორმაზე** - ულტრამემარჯვენე დისკურსში რეზონანსული აღმოჩნდა 2023 წლის 4 მაისს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის კონსერვატიულ პოლიტიკურ სამოქმედო კონფერენციაზე (CPAC) სიტყვით გამოსვლაც, რომელიც ჰომოფობიური გზავნილ-ებით იყო გაჯერებული. საქართველოში მოქმედმა ღიად პრორუსულმა ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა პრემიერის გამოსვლა დადებითად შეაფასეს. პრემიერის უნგრეთში ვიზიტის პარალელურად, ულტრამემარჯვენე დაჯგუფებამ „კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ“, ლგბტქ+ პირებისთვის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით, საქართველოს პარლამენტს კანონპროექტთა პაკეტი წარუდგინა.
3. **სამოქალაქო აქტივისტის ლაზარე გრიგორიადისის მადისკრედიტებელი კამპანია** - საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე კრემლისტური ჯგუფები, სახელისუფლებო ანონიმურ ანგარიშებთან ერთად, სრულ უნისონში ცდილობდნენ „უცხოური გავლენის აგენ-ტების შესახებ“ კანონპროექტის საწინააღმდეგო აქციების დროს, პოლიციელზე თავდასხმასა და სხვისი ქონების განადგურების ბრალდებით დაკავებული აქტივისტის ლაზარე გრიგორია-დისის და მისი მხარდამჭერების დისკრედიტაციას. კამპანიას მკვეთრად სექსისტური და ჰომოფობიური შინაარსი ჰქონდა.

საანგარიშო პერიოდში ანტიგენდერული/ანტიფემინისტური რიტორიკით განსაკუთრებით გა-მოირჩეოდნენ ორგანიზაცია „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ლიდერები გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილები, საზოგადოებრივი მოძრაობის „ერი, რაობა, იმედი“ დამ-ფუძნებელი ლევან ვასაძე და „ქართული მისიის“ ლიდერი რამაზ გაგნიძე. ანტიგენდერული სარედაქციო პოლიტიკით აქტიურობდა მედია პლატფორმა „ალტ-ინფოს“ გუნდი. მკვეთრად ან-ტიგენდერული გზავნილებით გამოირჩეოდა ულტრამემარჯვენე განწყობებით ცნობილი ბლოგ-ერი ბექა ვარდოსანიძე.

მეთოდოლოგიური ჩარჩო

კვლევის მიზანი იყო საქართველოში ანტიგენდერული/ანტიფემინისტური დისკურსის ძირით-ადი ტენდენციების ანალიზი, ასევე, იმ ძირითადი ულტრამემარჯვენე აქტორების გამოკვეთა, ვინც გენდერულ და ლგბტქ+ საკითხებს მანიპულაციურ და დეზინფორმაციულ კონტექსტში წარმოაჩენს. ანგარიში ეფუძნება შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს და შესაბამისად, მასში ასა-ხულია მედიამონიტორინგის მონაცემების, როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისებრივი მახასი-ათებლები. სოციალური მედიის მონიტორინგისთვის გამოყენებულია ფეისბუქის ანალიტიკური ხელსაწყო Crowdtangle. სოციალური მედიის მონიტორინგის გარდა, ანგარიშში ონლაინ მედია-მონიტორინგის ძირითადი მიგნებებიც გამოვიყენეთ.

მონიტორინგის ფარგლებში, საკვლევ ობიექტებად განვსაზღვრეთ ულტრამემარჯვენე ჯგუფები და ორგანიზაციები, რომელთა დღის წესრიგშიც ყველაზე მკაფიოდ ფიგურირებს ანტიგენ-დერული/ანტიფემინისტური რიტორიკა. როგორც წესი, სწორედ ეს ჯგუფები არიან საქართველ-

ოში ანტიგენდერული მოძრაობის ძირითადი აქტორები, რომელთა ქცევასაც სოციალურ და ონლაინ მედიაში მრავალი წელია აკვირდება „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“. კერძოდ, ანგარიშში აღწერილია ულტრამემარჯვენე ჯგუფების („ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“, „ქართული მისია“, „ერი, რაობა, იმედი“), ულტრამემარჯვენე პოლიტიკური დაჯგუფებების („„ქართული იდეა“, „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“) და მათი ლიდერების ოფიციალურ და მხარდამჭერთა გვერდებზე გააქტიურებული დეზინფორმაციული და გენდერული ნიშნით სიძულვილის ენის შემცველი პროპაგანდისტული კამპანია.

ანგარიშის პირველი თავი ეთმობა ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და ხელისუფლების იდენტური, პოლიტიზებული ჰომოფობიური რიტორიკის მიმოხილვას. მეორე თავში მიმოხილულია ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული რიტორიკის ძირითადი მახასიათებლები, ხოლო მესამე თავი გენდერულ ჭრილში აღწერს ულტრამემარჯვენე ჯგუფების საპროტესტო აქციებს. ანგარიშის დასკვნით ნაწილში მოცემულია საანგარიშო პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და შესაბამისი რეკომენდაციები.

ანგარიშის თემატიკა აერთიანებს ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული და ანტიფემინისტური რიტორიკის ისეთ ფართო სპექტრს, როგორიც არის: განათლების, იდენტობის, კანონმდებლობისა და ღირებულებების საკითხები. ხოლო თვისებრივი მონაცემები აერთიანებს ანტიგენდერული/ანტიფემინისტური გზავნილების ძირითად ტიპოლოგიას, მიზოგინიის მაგალითებსა და მანიპულაციური შინაარსის ვიზუალურ (ვიდეო და ფოტო) მასალას. ასევე, ანგარიშში გენდერულ ჭრილშია გაანალიზებული ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ორი აქციის ძირითადი მიგნებები.

მონიტორინგისას გაანალიზდა ულტრამემარჯვენე მედია პლატფორმის „ალტ-ინფოს“ ანტიგენდერული და ანტიფემინისტური სარედაქციო პოლიტიკაც, რომელიც ფართო აუდიტორიაზე წვდომისა და ულტრამემარჯვენე ფლანგზე აქტიურობის ფონზე, განსაკუთრებით ვაკვირდებოდით. გარდა ამისა, მონიტორინგის ფარგლებში შევისწავლეთ ღიად პროკრემლისტური ონლაინ გამოცემების „საქართველო და მსოფლიოს“ და „საქინფორმის“ მასალები; ასევე, გავაანალიზეთ ის ონლაინ სივრცე და მედია კონტენტი, სადაც ყველაზე აქტიურად მიმდინარეობს ულტრამემარჯვენე ძალების სამოქმედო დღის წესრიგისა და პოსტულატების ჩამოყალიბება-გავრცელება.

ასევე, სოციალურ ქსელებში მონიტორინგის სუბიექტებად შევარჩიეთ ისეთი ფეისბუქ და ტელეგრამ ანგარიშები, რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული ცალკეულ ულტრამემარჯვენე ჯგუფებთან და მათი ლიდერების მხრიდან მხარდამჭერთა მობილიზების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები არიან:

1. მსოფლიო საოჯახო კონგრესი, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციის „ერი, რაობა, იმედის“ ლიდერ ლევან ვასაძესთან;
2. „კონსერვატიულ მოძრაობა/ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებული გვერდები;
3. ულტრამემარჯვენე პარტიის „ქართული იდეის“ ჯგუფები;
4. პრიმაკოვის ქართულ-რუსულ საზოგადოებრივ ცენტრთან დაკავშირებული ანგარიშები.

მონიტორინგის ფარგლებში საინფორმაციო მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ პოსტების 65% წარმოდგენილი იყო ტექსტური მასალის (სტატუსების) სახით, ვიდეო კონტენტი (ლაივ ჩართვების ჩათვლით) წარმოადგენდა მონაცემთა 25%-ს, ფოტო მასალა კი - 10%-ს. შესწავლილი პოსტების ჯამურმა ინტერაქციამ გამოავლინა, რომ ყველაზე მაღალი ინტენსივობით გამოირჩეოდა ჰომოფობიური განწყობებით მოტივირებული გზავნილები. საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა, რომ სექსისტური ენა და ჰომოფობიური გზავნილები გამოყენებული იყო, როგორც იდენტობით განპირობებული საკითხების ირგვლივ, აგრეთვე პოლიტიკური ოპონირების ჭრილში და სამოქალაქო აქტივიზმში ჩართული პირების დისკრედიტაციის მიზნით.





საანგარიშო პერიოდში ასევე დავაკვირდით ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების ორ აქციას. პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შეკრება-მანიფესტაციების მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება გავამახვილეთ:

- ხომ არ იყენებდნენ ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები ან შეკრების მონაწილეები სიძულვილის ენას.
- ხომ არ ჰქონდა ადგილი კონკრეტული პირების ან ჯგუფების მისამართით ძალადობრივ მოწოდებებს.

პროექტის საწყის ეტაპზევე, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, შევიმუშავეთ შეკრებებისა და დემონსტრაციების მონიტორინგის სპეციალური ფორმა, რამაც გენდერულ ჭრილში ანალიზის მიზნით, აქციებისა და კონტრაქციების მიმდინარეობისას მნიშვნელოვანი ფაქტების სისტემატიზაციის შესაძლებლობა მოგვცა.

1. ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია

საქართველოში, ბოლო პერიოდში ნათელი გახდა მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ ჰომოფობიის ინსტრუმენტალიზაციის ნიშნები, რაც კომპლექსური და სახიფათო მოვლენაა და (გეო)პოლიტიკური მდგენელი აქვს. ხელისუფლების მიერ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებით მანიპულირება ხშირ შემთხვევაში ორკესტრირებულად მიმდინარეობს ულტრამემარჯვენე დაჯგუფებებთან ერთად. ანტიგენდერულ დისკურსში ასევე შესამჩნევი პრაქტიკაა ოპონენტთა დისკრედიტაცია ჰომოფობიური მოტივებით.

ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის კონტურები იკვეთება ასევე ულტრამემარჯვენე ძალადობრივი დაჯგუფების „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ დღის წესრიგში. კერძოდ, კრემლისტური განწყობების ფონზე, აღნიშნული დაჯგუფების წარმომადგენლები ცდილობენ დასავლეთის დემონიზებას და რუსეთის გავლენების გაზრდას საქართველოში. პოლიტიკური ჰომოფობია, რომელიც ხასიათდება გეოპოლიტიკური და სოციალური მდგენელებით, ხელს უწყობს საზოგადოებაში ირაციონალური შიშების გაღვივებას და ამავე დროს პოლარიზაციის ერთგვარ კატალიზატორსაც წარმოადგენს.

საქართველოში ინსტრუმენტალიზებული ჰომოფობიის პოლიტიკურ მდგენელად შეგვიძლია განვიხილოთ, ერთი მხრივ, ხელისუფლების მიერ კონსერვატიული განწყობების მქონე მხარდამჭერთა მობილიზაციის სურვილი, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების ყურადღების გადატანის მცდელობა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევებიდან ლგბტქ+ თემის საკითხებზე, ეროვნულ-რელიგიურ სენტიმენტებზე აპელირებით. შესაბამისად, პოლიტიკური

ჰომოფობიის ინსტრუმენტალიზაციით ხელისუფლება და ულტრამემარჯვენე ჯგუფები ცდილობენ განამტკიცონ საკუთარი ძალაუფლება და ლგბტქ+ ინდივიდების ჩაგვრით შექმნან იმგვარი დღის წესრიგი, რომელიც ილუზორული რეალობის აღქმით გააძლიერებს მათ პრივილეგირებულ პოზიციებს.

პოლიტიკური ჰომოფობიის გეოპოლიტიკური მდგენელი გამოიხატება ტრადიციულ და რელიგიურ სენტიმენტებზე აპელირებით, კოლექტიური დასავლეთის დისკრედიტაციის მცდელობაში, პრორუსული განწყობების გაღვივების ფონზე. კერძოდ, ულტრამემარჯვენე ჯგუფები, ხელისუფლებასთან უნისონში ცდილობენ წინ წამოწიონ რუსეთთან დაახლოების საკითხები, ხოლო დასავლეთი წარმოაჩინონ ქართულ ტრადიციებთან შეუსაბამოდ, რომელიც ხელს უწყობს ლგბტქ+ „პროპაგანდას“ საქართველოში. გარდა ამისა, პოლიტიკური ჰომოფობია მნიშვნელოვნად ზღუდავს სივრცეს ლგბტქ+ ადამიანებისთვის, სახელმწიფო თუ ძალოვან სტრუქტურებთან თანამშრომლობის მიმართულებითაც, საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლის პროცესში.

ჰომოფობია, რომელსაც საქართველოში სამართლებრივი, კულტურული და რელიგიური წახნაგები გააჩნია, პოლიტიკურ დღის წესრიგში, ერწყმის ანტიდასავლურ გაწყობებს და ქმნის ნოყიერ ნიადაგს ულტრამემარჯვენე, პრორუსული ძალებისთვის მხარდამჭერთა მობილიზაციის კუთხით. კოლექტიური დასავლეთისგან განსხვავებით, რუსეთში ლგბტქ+ თემის წარმომადგენლები იდევნებიან; კანონმდებლობით იკრძალება ლგბტქ+ „პროპაგანდა“. რუსული გავლენა ცალსახად შესამჩნევია ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფების რიტორიკაზეც. საანგარიშო პერიოდში პოლიტიკურმა დაჯგუფებამ „კონსერვატიულმა მოძრაობამ/ალტ-ინფომ“ საქართველოს პარლამენტს კანონპროექტთა პაკეტი წარუდგინა, რითაც ლგბტქ+ ადამიანების მანიფესტაციების შეზღუდვა მოითხოვა. კანონპროექტის ავტორები ულტრამემარჯვენე ლიდერები - გიორგი ქარდავა, ზურაბ მახარაძე, ირაკლი მორგოშია, შოთა მარტინენკო და კონსტანტინე მორგოშია არიან. მათ პარლამენტს 2022 წლის ნოემბერში „25 000 ამომრჩევლის“ სახელით მიმართეს. საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს ცვლილებებს სამ საკანონმდებლო აქტში. ინიციატივის საფუძველზე ძალადობრივი ჯგუფის ლიდერები „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში დაგეგმილი შესწორებით, „სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდის“ აკრძალვას ითხოვენ. კერძოდ, კანონპროექტში აღნიშნულია:

1. „აკრძალულია შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება, თუ იგი მიზნად ისახავს ან რომლის დროსაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირებას, პოპულარიზაციას ან/და პროპაგანდას.

2. აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ იგი მიზნად ისახავს ან რომლის დროსაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის საწინააღმდეგო, მადისკრედიტებელ ან/და რომელიმე რელიგიური მიმდევრობის ადამიანთა რწმენის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელ განცხადებებსა და მოწოდებებს ან/და რომლის დროსაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივებას“.

აღნიშნულ კანონპროექტს გამოეხმაურა საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე და აღნიშნა, რომ „ხელისუფლება არ გეგმავს ისეთი კანონპროექტის მიღებას, რომელიც ლგბტქ+ „პროპაგანდის“ აკრძალვას შეეხება და საფრთხეს შეუქმნის რომელიმე ჯგუფის უფლებების დაცვას“. საპირისპირო გაცხადება გაავრცელა ძალადობრივი დაჯგუფების „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერმა კონსტანტინე მორგოშიამ 2023 წლის 2 მაისს, როდესაც საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა სტატუსი, სადაც საზოგადოებას აღნიშნულ კანონპროექტზე ხელისუფლების მხარდაჭერის შესახებ ამცნო. მისი ფეისბუქ-პოსტის თანახმად, ხელისუფლება მათ მიერ ინიციირებულ კანონპროექტებს მხარს დაუჭერს: ***„მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ „ქართული ოცნება“, პარტნიორი პარტიების მეშვეობით, მიიღებს ყველა იმ კანონს, რომლის მიღებასაც ჩვენ წლებია ვითხოვთ და ვიბრძვით!!! მათ შორის, კანონს გეი-პროპაგანდის წინააღმდეგ!!! ეს ამბავი ძალიან მახარებს, სჯობს გვიან ვიდრე არასდროს!!!“.***

ლგბტქ+ „პროპაგანდის“ კანონით აკრძალვის მხარდაჭერის შესახებ 2 მაისს განცხადება გააკეთა პარლამენტის დეპუტატმა „ევროპელი სოციალისტებიდან“ ფრიდონ ინჯიამაც.

ულტრამემარჯვენე, ანტილიბერალური ფლანგი ქალებისა და ლგბტქ+ თემის უფლებების შეზღუდვას საკანონმდებლო დონეზე წლებია ითხოვს. 2014-2022 წლებში, ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ, პარლამენტში დარეგისტრირდა საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც ითვალისწინებდა მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას გენდერული და სექსუალური იდენტობის ნიშნით მოწყვლადი ჯგუფებისთვის უფლებების შეზღუდვის მიზნით. ულტრამემარჯვენე აქტორები მოითხოვდნენ ანტიდისკრიმინაციული კანონიდან ისეთი ტერმინების ამოღებას, როგორებიცაა „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერი“.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული საკანონმდებლო ინიციატივები

(2014–2023 წლები)

თარიღი	კანონი	საკანონმდებლო ცვლილება	ინიციატორი პარტია/ორგანიზაცია
07-11-2022	საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“	აიკრძალოს შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება, თუ იგი მიზნად ისახავს ან რომლის დროსაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირებას, პოპულარიზაციას ან/და პროპაგანდას.	ალტ-ინფო/ კონსერვატიული მოძრაობა https://parliament.ge/legislation/25062
17-06-2019	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი	აეკრძალოს, “ლგბტქ+-ს წარმომადგენელს“ სახელმწიფო სტრუქტურებში თანამდებობების დაკავება, ასევე ყველა სასწავლო დაწესებულებებში.	საქართველოს ანტიფაშისტური ორგანიზაცია https://parliament.ge/legislation/18434
21-04-2016	საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“	კანონიდან „სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის და გამოხატვის“ შესახებ ჩანაწერის ამოღება.	„დემოგრაფიული განვითარების ფონდი“ - ზვიად ტომარაძე https://parliament.ge/legislation/12702
02-12-2015	საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“	ტერმინების „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ ამოღება.	„დემოგრაფიული განვითარების ფონდი“ - ზვიად ტომარაძე https://parliament.ge/legislation/12702

ულტრამემარჯვენე აქტორების მხრიდან, გენდერულ და სექსუალურ იდენტობასთან დაკავშირებით პარლამენტში რეგისტრირებული საკანონმდებლო ცვლილებები სამ ძირითად მიმართულებად შეიძლება დაიყოს:

1) **შრომითი უფლებების შეზღუდვა** - ლგბტქ+ იდენტობის ადამიანებისთვის საჯარო სტრუქტურებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნის აკრძალვა;
2) **გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა** - ლგბტქ+ იდენტობის ადამიანებისთვის შეკრებების და მანიფესტაციის შეზღუდვა, ასევე შეკრების და მანიფესტაციის შეზღუდვა რელიგიურ სენტიმენტებზე აპელირებით.
3) **დისკრიმინაციისგან დაცვის ნორმის გაუქმება** - სამართლებრივ მექანიზმებზე წვდომის უფლების შეზღუდვა გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ჭრილში.

1.1 პრემიერის ჰომოფობიური რიტორიკა, კონსერვატიულ პოლიტიკურ სამოქმედო კონფერენციაზე

საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და ხელისუფლების ჰომოფობიური რიტორიკა სრულ უნისონში გააქტიურდა 2023 წლის 4 მაისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონსერვატიულ პოლიტიკურ სამოქმედო კონფერენციაზე (CPAC) სპიკერის რანგში გამოსვლის პარალელურად. კონფერენციაზე ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ **„კონკრეტული ძალები, რომლებიც თავისუფლებას, სიმართლეს უპირისპირდებიან, საკუთარი მიზნების მიღწევას ტრადიციული, ოჯახური ფასეულობების ნგრევითა და ყალბი თავისუფლების თავს მოხვევით ცდილობენ - მაგალითად, ლგბტ პროპაგანდით, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის მშობლების გვერდის ავლით სქესის შეცვლის დაკანონების მცდელობით.“** პრემიერის ჰომოფობიური რიტორიკა, რომელიც რელიგიურ და ეროვნულ სენტიმენტებს ეყრდნობა, სრულ თანხვედრაშია ულტრამემარჯვენე ჯგუფების გზავნილებთან.

CPAC-ის კონფერენციის ძირითადი დევიზი იყო „ერთად ძლიერები ვართ.“ კონფერენციის სპიკერებს შორის არ ყოფილა ევროკავშირის წევრი ან კანდიდატი ქვეყნის არც ერთი მოქმედი პოლიტიკური ლიდერი უნგრეთის ულტრამემარჯვენე პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ორბანის გარდა. ირაკლი ღარიბაშვილის კონფერენციაში მონაწილეობას კეთილგანწყობით გამოეხმაურა ბუდაპეშტის ულტრამემარჯვენე კონსერვატიული „ფუნდამენტურ უფლებათა ცენტრი“ 26 აპრილის პოსტით: *„გენდერული პროპაგანდა არც საქართველოსადმია კეთილგანწყობილი, თუმცა ღარიბაშვილის აზრით, აქტივისტები და პოლიტიკოსები ვალდებულნი არიან, პატივი სცენ უმრავლესობის ნებას, რომელიც უარყოფს ლგბტქ პროპაგანდისტულ ზეწოლას“.*

პრემიერის დაგეგმილ ვიზიტს ბუდაპეშტში ჯერ კიდევ აპრილში დადებითად გამოეხმაურნენ

ძალადობრივი და ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე ჯგუფები საქართველოში. 2023 წლის 30 აპრილს „ალტ-ინფოს“ გადაცემაში „დღის კომენტარი“ ულტრამემარჯვენე ჯგუფის „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარემ გურამ ფალავანდიშვილმა პრემიერის ვიზიტი უნგრეთში უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეაფასა და აღნიშნა, რომ: *„იმის ფონზე, როდესაც მსოფლიო გაყოფილია პროსოდომისტურ და ანტისოდომისტურ ძალებად, ღარიბაშვილის ვიზიტი უნგრეთში ძალზედ მნიშვნელოვანია. იმედი მაქვს, რომ მას ეყოფა ძალა სიმართლის სათქმელად და დაგმობს ანტიდისკრიმინაციულ კანონს.“* პრემიერის ვიზიტი კონსერვატიულ პლატფორმაზე დადებითად შეაფასა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერმა ირაკლი მარტინენკომ, თუმცა 28 აპრილის გადაცემაში „ალტ-ანალიტიკა“ განაცხადა, რომ ამ ვიზიტს არსებითი მნიშვნელობა არ ექნება ქვეყნისთვის, თუ არ გადაიხედება საგარეო [ევროპული] კურსი.

1.2 „თბილისი პრაიდის“ კვირეული – ულტრამემარჯვენე ჯგუფების ჰომოფობიური რიტორიკის სამიზნე

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ჰომოფობიური რიტორიკა განსაკუთრებით მკაფიო გახდა ივლისში, „თბილისი პრაიდის“ კვირეულის პარალელურად. ძალადობრივი დაჯგუფების „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა პრაიდის ფესტივალის ჩაშლა ივლისის დასაწყისშივე დააანონსეს და მასშტაბური აქციის ორგანიზებაც დაიწყეს. „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ზურა მახარაძემ 6 ივლისს გადაცემა „რეალპოლიტიკაში“ აქციის სამი ძირითადი მოთხოვნა დაასახელა:

1. პრაიდ-ფესტივალის ჩაშლა;
2. 2021 წლის 5 ივლისის საქმეზე დაკავებულ პირთა განთავისუფლება;
3. კანონპროექტის მიღება „გარყვნილების პროპაგანდის“ წინააღმდეგ.

რადიკალური ძალის წარმომადგენლებმა საქართველოს რეგიონებიდან მხარდამჭერთა მობილიზაციის მიზნით თანხის შეგროვებაც დაიწყეს, თუმცა თიბისი ბანკმა და საქართველოს ბანკმა მათი ანგარიშები დაბლოკა. ულტრამემარჯვენე ლიდერების უმრავლესობამ ძალადობის შემცველი მოწოდებებიც გაავრცელა. „კონსერვატიული მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა გიორგი ქარდავამ ვიდეო მიმართვაში პრაიდის კვირეული „გარყვნილების პროპაგანდად და პათოლოგიად“ მოიხსენია და მხარდამჭერებს მისი აღკვეთისკენ მოუწოდა. კონსტანტინე მორგოშიას განცხადებით კი, 8 ივლისი იქნებოდა *„5 ივლისს დადგმულ კუბოზე ბოლო ლურსმნის დაჭედება“*.

„პრაიდის კვირეულის“ ორგანიზატორებს ღონისძიების გაუქმებისკენ მოუწოდა ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ორგანიზაციის „საქართველო უპირველეს ყოვლისას“ ლიდერმა ვატო შაქარაშვილმა: *„ქართველმა ხალხმა, არა ერთხელ და არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ქმედებით დაამტკიცა, რომ არ დაუშვებს ჩვენს ქვეყანაში ე.წ. პრაიდის ჩატარებას და ეს პოზიცია არ გადაიხედება!“*

მხარდამჭერებს მობილიზაციისკენ და პრაიდის ფესტივალის ჩაშლისკენ მოუწოდა ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის „ქართული მისიის“ ლიდერმა რამაზ გაგნიძემაც და ფეისბუქ პოსტში აღნიშნა: *„ნაღდ კაცებს და ნაღდ ქალბატონებს ყველას გელოდებით 8-ში 12 საათზე ვაჟას ძეგლთან, რათა ლისის ტბაზე ჩავშალოთ ლგბტ პარადი!“*





მიუხედავად იმისა, რომ პრაიდის დასკვნით ღონისძიებამდე გაცილებით ადრე, შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმირებული იყო ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძალადობრივი განზრახვის შესახებ, სამინისტრომ არ უზრუნველყო ლგბტქ+ თემის კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების და გამოხატვის თავისუფლების დაცვა. 8 ივლისს ძალადობრივმა ჯგუფებმა მარტივად შეძლეს პოლიციის კორდონის გარღვევა და პრაიდ-ფესტივალის ჩაშლა. პოლიცია თავად შეუძლვა ჩაშლილი ფესტივალის ტერიტორიაზე „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერს ზურა მახარაძესა და ძალადობრივი ორგანიზაციის „საქართველო უპირველეს ყოვლისას“ დამფუძნებელს ვატო შაქარაშვილს ფესტივალის ორგანიზატორთა ევაკუაციაში დასარწმუნებლად. სამართალდამცავთა ჯეროვანი რეაგირება არ მოჰყოლია არც შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, როდესაც ძალადობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა ფესტივალის კერძო ტერიტორიის დარბევა და გაძარცვა დაიწყეს. 8 ივლისს განვითარებული მოვლენები ძალადობრივი ჯგუფების მიმართ ხელისუფლების ლოიალური პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა და პირდაპირ კავშირშია 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის ორგანიზატორების დაუსჯელობასთან, რომლებიც დაუბრკოლებლად ახდენენ ძალადობრივი ჯგუფების მობილიზებას და მართვას.

1.3. სექსისტური და ჰომოფობიური კამპანია ლაზარე გრიგორიადისის წინააღმდეგ

საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ჯგუფების აგრესიული რიტორიკის სამიზნე აღმოჩნდა მარტში, „უცხოური გავლენის აგენტების შესახებ“ კანონპროექტის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციებში აქტიურად ჩართული და პოლიციელზე თავდასხმასა და სხვისი ქონების განადგურების ბრალდებით დაკავებული აქტივისტი ლაზარე გრიგორიადისი. მას 2023 წლის 31 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. აღნიშნული პროცესის პარალელურად, სოციალურ ქსელში ლაზარე გრიგორიადისისა და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ სექსისტური და ჰომოფობიური შინაარსის მქონე მადისკრედიტებელი კამპანია დაიწყო. აღსანიშნავია, რომ აქტივისტის წინააღმდეგ ჰომოფობიური ნარატივებს გავრცელებას და გარეგნული მახასიათებლების მიხედვით დისკრედიტაციას, ღიად პროკრემლისტურ ძალებთან ერთად, სახელისუფლებო ანონიმური ჯგუფებიც ცდილობდნენ.

ულტრამემარჯვენე პლატფორმები, სახელისუფლებო ანონიმურ გვერდებთან ერთად („საქართველოდან/From Georgia; „არ აგარევინებთ“), წერილობით (პოსტი, სტატია) და ფოტო მანიპულაციურ კონტექსტს ავრცელებდნენ, სადაც ლაზარე გრიგორიადისის მხარდამჭერები ნაციონალურ მოძრაობასთან იყვნენ დაკავშირებული და ამავდროულად, ლგბტქ+ „გარყვნილების პროპაგანდისტებად“ იყვნენ წარმოჩენილი. აღნიშნული გვერდები გამოირჩევიან ხელისუფლების მხარდამჭერი და ოპოზიციური ძალების მადისკრედიტებელი მასალის გავრცელებით, რაც ხშირ შემთხვევაში უნისონში იმეორებს „ქართული ოცნების“ მესიჯბოქსს.

ძალადობრივ პოლიტიკურ დაჯგუფება „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებულმა ფეისბუქ გვერდმა „შიინ ევროპისკენ“ გამოაქვეყნა ფოტოშოპით დამუშავებული, გა-

ყალბებული ფოტოები, რომლის მიზანიც აქტივისტის მარგინალიზაცია იყო. ერთ[3] მათგანში დრეგ ქვინების პლაკატების ფონზე, გამოსახულია გრიგორიადისის ფოტო და მისი მხარდამჭერი წარწერა „#თავისუფლება ლაზარეს“, სათაურით: „ამერიკის რეალითი შოუს ტრანსგენდერთა არმია სოლიდარობას უცხადებს ლაზარეს.“ მეორე[4] პოსტში კი ბელგიის პრაიდის წარმომადგენლის ფოტოა გამოსახული იდენტური წარწერით.

ხელისუფლების მხარდამჭერმა ანონიმურმა გვერდმა „საქართველოდან/From Georgia“ გაავრცელა დეზინფორმაციული ნარატივი, რომლის თანახმადაც, ლაზარე გრიგორიადისის მხარდამჭერ აქციას „ნაცები და გაურკვეველი სექსუალური ორიენტაციის ხალხი“ აორგანიზებდა. ასევე, ხელისუფლების მხარდამჭერი გვერდი „არ აგარევინებთ“ და ძალადობრივ დაჯგუფებასთან „ალტ-ინფო/კონსერვატიულ მოძრაობასთან“ დაკავშირებული Dato Abulashvili-ს ფეისბუქ ანგარიში ცდილობდნენ ლაზარე გრიგორიადისის სახელის შელახვა გარეგნული მახასიათებლებითაც მოეხდინათ. აღნიშნულ გვერდებზე გავრცელდა ფოტომასალა სათაურით: „ერის შეურაცხყოფაა ამ „გმირის“ მხარდაჭერა!“. ფოტოზე ერეკლე მეორე და ლაზარე გრიგორიადისი ერთმანეთს არის შედარებულები. აღნიშნული პოსტი კი იმის ცალსახა დემონსტრაცია იყო, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფები „გმირის“ ცნების არასწორ ინტერპრეტაციას მიზანმიმართულად ცდილობენ.

აღსანიშნავია, რომ სახელისუფლებო ანონიმურ გვერდებზე ლაზარე გრიგორიადისისა და მისი მხარდამჭერების მადისკრედიტებელი პოსტები ძირითადად დასპონსორებულია, რაც აჩენს ეჭვს, რომ აღნიშნული კამპანია აქტივისტის წინააღმდეგ არა ფრაგმენტული, არამედ წინასწარგანზრახული პოლიტიკური დღის წესრიგის შემადგენელი ნაწილია.

[3] Fact-checker-მა აღნიშნული ფოტო მონიშნა როგორც პროგრამულად დამუშავებული, რომელმაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს აუდიტორია. შესაბამისად, მასზე წვდომა შეზღუდულია.
[4] Fact-checker-მა აღნიშნული ფოტო მონიშნა როგორც პროგრამულად დამუშავებული, რომელმაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს აუდიტორია. შესაბამისად, მასზე წვდომა შეზღუდულია.

2. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული გზავნილები

საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერულ/ანტიფემინისტურ რიტორიკაში აქტუალობას არ კარგავდა „ოჯახის სიწმინდესა“ და ლგბტქ+ პროპაგანდაზე აქცენტირებით გარყვნილი დასავლეთის ხატის შექმნის მცდელობები. აღნიშნული რიტორიკა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 17 მაისის მოახლოებასთან ერთად, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივით, 2014 წლიდან ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღეს აღნიშნავს.

17 მაისამდე ერთი კვირით ადრე, 2023 წლის 11 მაისს პროკრემლისტურ მედია პლატფორმაზე „საქინფორმი“ გამოქვეყნდა სტატია „ადამი და ევა ღმერთმა შექმნა და არა პუტინმა“, სადაც ულტრამემარჯვენე გაწყობებით ცნობილი „საქინფორმის“ რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილი დასავლეთს ბრალს სდებდა ქართული ტრადიციებისა და მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტის შებღალვაში. ასევე, ცდილობდა ფემინიზმის დემონიზებას და ქალთა უფლებადამცველებს „დასავლეთის აგენტთა“ რიცხვში განიხილავდა, უწოდებდა რა მათ „სამშობლოს გამყიდველებსა“ და კოლაბორაციონისტებს“.

„საინტერესოა, რატომ რცხვენიათ ქართველ ჰომოსექსუალებსა და ფემინისტებს თავიანთი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისა? იმიტომ, რომ ყველა ქართველი woke-აქტივისტი მხოლოდ თავს იკატუნებს, რომ „სექსიზმს“ ებრძვის, სინამდვილეში კი დაკომპლექსებული პროვინციელები და კოლაბორაციონისტები არიან. არცერთ მათგანს არ აქვს დალაგებული პირადი ცხოვრება, არ ჰყავთ ოჯახი, გარშემორტყმული არიან საზოგადოების ზიზღით და თავს საზოგადოებიდან გარიყულად გრძნობენ“ - აღნიშნულია სტატიაში.

ჰომოფობიური და სიძულვილის ენის შემცველია კიდევ ერთ ღიად კრემლისტურ მედია-პლატფორმაზე „საქართველო და მსოფლიო“ 2023 წლის 21 აგვისტოს გამოქვეყნებული სტატია „საქართველოს ძლიერი მფარველი, ანუ რუსეთი სჭირდება და არა პედერასტული „მოკავშირე“ აშშ“. აღნიშნულ სტატიაში ხდება დასავლეთის დემორალიზება და ლგბტქ+ გარყვნილების დამკანონებლად წარმოჩენა, რომელიც ებრძვის საქართველოში რელიგიურ და ეროვნულ ღირებულებებს. ამის საპირწონედ, სტატიის ავტორი რუსეთს ერთმორწმუნე მხსნელად და მთავარ პარტნიორად წარმოაჩენს. *„გლობალური მასშტაბის ლგბტ-ები ცისარტყელიანი დროშების ფრიალითა და ფსევდოდემოკრატიულ ღირებულება-ფასეულობათა (ანუ უღმერთობა-სატანისტობის) დაცვის მოტივით იმ 51 ქვეყანას მართავენ ე.წ. კოლექტიური დასავლეთის ეგიდით), რომლებსაც მარტოდმარტო ეომება ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთი.“* - აღნიშნულია სტატიაში.

„ლგბტქ+ დღის წესრიგის“ თავს მოხვევასა და ოჯახის ინსტიტუტის შებღალვაში სდევს ბრალს დასავლეთს ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის „ბავშვთა უფლებათა დაცვის საზოგადოების“ ლიდერი ალექსანდრე ფალავანდიშვილი და რელიგიურ სენტიმენტებზე აპელირებით, 2023 წლის 16 აგვისტოს ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებულ პოსტში აღნიშნავს: *„დასავლეთში ლგბტ დღის წესრიგისთვის ნიადაგი გელფრენდ-ბოიფრენდის პრაქტიკამ შეამზადა. ამიტომ ჩვენ მრუშობის ცოდვის (რომელიც თავისთავად წარმწყმედელია) ნებისმიერი ფორმის მიმართ შეურიგებელნი*

უნდა ვიყოთ თუ არ გვსურს ჩვენი შვილები და შვილიშვილები ამ ცოდვის ფსკერში - სოდომიის სიბილწეში ჩაიხრჩონ! უფალო შეგვიწყალე“.

ულტრამემარჯვენე ფლანგის ლიდერი ალექსანდრე ფალავანდიშვილი, საანგარიშო პერიოდში აქტიურად იყენებდა სექსისტურ ენას ქალთა უფლებადამცველის ბაია პატარაიასა და ევრო-პარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის წინააღმდეგ. „თბილისი პრაიდის“ მხარდამჭერი პოსტის შემდგომ, მან დამაკნინებელი ტერმინით „კოქტეილ კრამონით“ მოიხსენია ევროპარლამენტარი. ალექსანდრე ფალავანდიშვილისთვის ქილიკის საგანი აღმოჩნდა ბაია პატარაიას განცხადება, რომლითაც მან გააკრიტიკა „ალტ-ინფოს“ საქმიანობა და აღნიშნა, რომ ფემინისტები არ აპრო-ტესტებენ პედოფილიის საკითხებს საქართველოში.





ქართული ტრადიციებისა და ოჯახის ინსტიტუტის შებღალვაში სდებს ბრალს კოლექტიურ დასავლეთს ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის „ერი, რაობა, იმედის“ ლიდერი ლევან ვასაძეც. მან საცდელ მაუწყებლობა „ერი მედიაზე“ 2023 წლის 9 ივლისს ეროვნულ-რელიგიურ სენტიმენტებზე აპელირებით, 8 ივლისს ჩაშლილი „თბილისი პრაიდის“ შემდგომ, დასავლეთს „ქართული ტრადიციების პატივისცემისკენ“ მოუწოდა. ხოლო ხელისუფლებას ყველა იმ „პროვოკატორი“ და „ქართველი ერის ნების წინააღმდეგ მებრძოლი“ ელჩის დაკითხვა მოსთხოვა, რომელიც მხარს უჭერდა პრაიდ ფესტივალის ჩატარებას.

3. ულტრამემარჯვენე ჯგუფების საპროტესტო აქციების ანოტაცია

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის დამკვირვებლები ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ თბილისის მასშტაბით ორგანიზებულ 2 შეკრებას დააკვირდნენ. აქციებისა და კონტრაქციების შესახებ ინფორმაცია სოციალური ქსელის საშუალებით გახდა ცნობილი, რომელიც ულტრა-მემარჯვენე დაჯგუფებებისა და მათი ლიდერებისთვის ინფორმაციის გავრცელებისა და მხარ-დამჭერთა მობილიზაციისთვის ყველაზე მეტად გამოყენებად პლატფორმას წარმოადგენს.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების აქციებზე, ორგანიზატორთა შორის შეიმჩნეოდა ქალების სიმცირე. ამ აქციებზე დემონსტრანტთა უმრავლესობა შუა ხნის კაცები იყვნენ.

პირველი აქცია 2023 წლის 1 ივლისს ნეოფაშისტურმა დაჯგუფებამ „საქართველოს ეროვნულმა ერთობამ“ გამართა. აქციის ლოზუნგი იყო: „დაიცავი შენი მიწა-წყალი! დაიცავი შენი ერი! საკუ-თარი მომავალი“. აქციის მონაწილეებმა საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის გამარტი-ვებასთან დაკავშირებული კანონპროექტი გააპროტესტეს. მცირერიცხოვან აქციაზე, რომელსაც 40-მდე დემონსტრანტი ესწრებოდა, შესამჩნევი იყო როგორც ნეოფაშისტური, ასევე ჰომო-ფობიური შინაარსის მქონე პლაკატები და სხვადასხვა სახის სიმბოლიკა. აქციის ორგანიზატორი იყო გიორგი ჭელიძე. დემონსტრაციაზე დამსწრებ მცირერიცხოვან ქალთაგან სიტყვით არცერთი არ გამოსულა.

მეორე საპროტესტო მანიფესტაცია, რომელმაც მასშტაბური ძალადობრივი ხასიათი მიიღო, მკვეთრად ჰომოფობიურ ხასიათს ატარებდა. შეკრების ორგანიზატორი „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ იყო. კონტრაქცია 8 ივლისს, თბილისი პრაიდის მიერ დაანონსებული ფესტივალის ჩასაშლელად დაიგეგმა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები 8 ივლისის აქციას მთელი დღის განმავლობაში ადევნებდნენ თვალს. 7 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნული იყო, რომ თბილის პრაიდის დახურული ღონისძიება მშვიდ ვითარებაში ჩატარდებოდა და სამართალდამცავები ყველა ლოკაციაზე უზრუნველყოფდნენ უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვას.

მიუხედავად აღნიშნული გარანტიებისა, ძალადობრივი აქციის დემონსტრანტებმა ლისის ტბის მიმდებარედ მარტივად გაარღვიეს პოლიციის კორდონი და ფესტივალის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ეფექტიანი, პრევენციული და სამართალდარღვევაზე მყისიერი რეაგირების ნაცვლად კი, პოლიციამ ფესტივალის მონაწილეები ტერიტორიას გაარიდა. მიუხედავად იმისა, რომ აქციის ორგანიზატორებმა შეკრების საწყის ლოკაციაზე ვაჟა-ფშაველას ძეგლთან, ღიად განაცხადეს, რომ ყველაფრის ფასად ჩაშლიდნენ პრაიდ ფესტივალს, პოლიციას არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია ლისის ტბისკენ ფეხით მიმავალი დემონსტრანტებისთვის. უფრო მეტიც, რამდენიმე ასეული სამართალდამცველი სამანქანო ესკორტით წინ მიუძღოდა მსვლელობას. პოლიცია თავად შეუძღვა ჩაშლილი ფესტივალის ტერიტორიაზე „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერს ზურა მახარაძესა და ძალადობრივი ორგანიზაციის „საქართველო უპირველეს ყოვლისას“ დამფუძნებელს ვატო შაქარაშვილს ფესტივალის ორგანიზატორთა ევაკუაციაში დასარწმუნებლად. სამართალდამცავთა ჯეროვანი რეაგირება არ მოჰყოლია არც შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, როდესაც ძალადობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა ფესტივალის კერძო ტერიტორიის დარბევა და გაძარცვა დაიწყეს.

როგორც წესი, ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერულ/ანტიფემინისტურ დისკურში ძლიერია საზოგადოებაში ჰომოფობიური განწყობების გაღვივების მცდელობები რელიგიურ-ეროვნულ სენტიმენტებზე აპელირებით. ნიშანდობლივია, რომ 8 ივლისს ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციაში სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ, მართალია, რიგით დემონსტრანტებად, თუმცა, რამდენიმე სასულიერო პირმა აქციის მონაწილეებს სიტყვითაც მიმართა.

ძირითადი მიგნებები

- საქართველოში ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერულ რიტორიკაში, ძლიერია ჰომოფობიური განწყობები, რომელიც ამავე დროს, პირდაპირ აპელირებს რელიგიურ-ეროვნულ სენტიმენტებზე.

- შემაშფოთებელი ტენდენციაა ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პოზიციების თანხვედრა ჰომოფობიის ინსტრუმენტალიზაციის კუთხით. აღნიშნული ტენდენცია ახალისებს ძალადობრივ პრაქტიკებს მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგ და აღვივებს საზოგადოების პოლარიზაციას.

- საქართველოში ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული/ანტიფემინისტური რიტორიკას ფონად გასდევს ანტიდასავლური და პრორუსული განწყობების გაღვივება. ამ შემთხვევაში დასავლეთი წარმოჩენილია „გარყვნილების პროპაგანდისტად“, ხოლო მის საპირწონედ, „ერთმორწმუნე რუსეთი“ ქართული ღირებულებების დაცვასთან არის გაიგივებული.

- ულტრამემარჯვენე ლიდერების აგრესიული რიტორიკის სამიზნე ძირითადად არიან ქალთა უფლებადამცველები, ფემინისტები, სამოქალაქო აქტივისტები და დასავლური ინსტიტუტები.

- ულტრამემარჯვენეთა საპროტესტო აქციებზე, ორგანიზატორთა შორის არ არიან ქალები; ქალების სიმცირე შეიმჩნევა დემონსტრანტთა შორისაც. ამ აქციებზე დემონსტრანტთა უმრავლესობა შუა ხნის კაცები არიან.

რეკომენდაციები

- ხელისუფლების მხრიდან შეწყდეს ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია და ძალადობრივი ჯგუფების ირიბი თუ პირდაპირი მხარდაჭერა.

- ხელისუფლებამ უზრუნველყოს ლგბტქ+ ადამიანებისა და ქალთა მოწყვლადი ჯგუფების უფლებებისა და უსაფრთხოების, მათ შორის, კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების და გამოხატვის თავისუფლების დაცვა.

- ხელისუფლების პასიურობის ფონზე, სამოქალაქო სექტორმა აქტიურ რეჟიმში მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული/ანტიფემინისტური დღის წესრიგიდან მომავალი საფრთხეების შესახებ.

- კვლევითმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ იმ ძირითადი მიზეზების შესწავლა, რაც ასაზრდოებს ექსტრემისტულ დაჯგუფებებს.

- ქალთა უფლებებზე ორიენტირებულმა ორგანიზაციებმა საკუთარ სტრატეგიულ სამოქმედო დღის წესრიგში მნიშვნელოვან გამოწვევად წარმოაჩინონ ის ძალადობრივი პრაქტიკები, რომლის ნორმალიზებასაც ცდილობენ ულტრამემარჯვენე ჯგუფები საქართველოში.